პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 16 ნოემბერი 1924 წ

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 650 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩვეულებ. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩვეულ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

განცხადება

ორშაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის აღმასკომის შენობაში მოწვეულია შემდეგი სექციების მორიგი სხდომა:

1. **კომუნალური სექციის** (აღმასკომის დარბაზი).

დღის წესრიგი:

1) საბინაო კრიზისი და მასთან ბრძოლა.
2) მიმდინარე საკითხები.

2. **საფინანსო სექციის** (ოთახი № 17.)

დღის წესრიგი:

1) ტფილისის საბჭოს ბიუჯეტის განხილვა.
2) მიმდინარე საკითხები.

3. **განათლების სექციის** (ოთახი № .32.)

დღის წესრიგი:

1) განყოფილების 1924|25 სამოსწავლო წლის მუშაობის გეგმა.
2) მიმდინარე საკითხები.

4. **სააღგილ ნამეურნეო სექციის** (ოთახი № 66.)

დღის წესრიგი:

1) აგრო-დახმარების საქმე მაზრაში.
2) მიმდინარე საკითხები.

5. **ზაკესკომის სექციის** (ზაჰესის კანცელარია).

დღის წესრიგი:

1) სამასალო ნაწილის მუშაობის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

ახალგაზრდობის კომინტერნის 5 წლის თავისათვის.

დღეიდან იწყება ორკვირეული კამპანია ახალგაზრდობის კომინტერნის 5 წლის არსებობის შესრულების გამო.

თანამედროვე კომუნისტურ მუშათა მოძრაობაში ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ახალგაზრდობის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია ჯერ კიდევ გასულ საუკუნოდან იწყება, მხოლოდ ფართე მოძრაობის ხასიათს ის იმპერიალისტურ ომის დროს იღებს.

მსოფლიო ომმა მშრომელ მასებთან ერთად აამოძრავა მშრომელი ახალგაზრდობაც.

თითქმის ყველა მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა ახალგაზრდობა ომისა და საერთოდ მილიტარიზმის წინააღმდეგ გამოვიდა.

1919 წელში ქ. ბერლინში დაარსდა ახალგაზრდა კომუნისტური ინტერნაციონალი.

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ის მძლავრ ორგანიზაციად გარდიქცა.

დღეს იშვიათია ისეთი ქვეყანა, სადაც არ არსებობდეს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.

დღითი დღე ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი თავის მხარეზე იპყრობს მუშათა ახალგაზრდობის სულ ახალსა და ახალ კადრებს.

თავის უფროს ძმა კომინტერნთან ერთად ის საშინელ საფრთხეს წარმოადგენს კაპიტალისტურ სამყაროსათვის.

ხსენებულ ორკვირეულ კამპანიის სათანადოთ ჩატარებას უაღრესად სერიოზულ ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ჯარის ნაწილებში.

ამ ხნის განმავლობაში სავსებით უნდა გაშუქდეს მუშათა ახალგაზრდობის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია, მისი ბრძოლა კაპიტალიზმის და ახალგაზრდობის შემთანხმებელ ყვითელი ინტერნაციონალის წინააღმდეგ და მისი მორიგი ამოცანები.

თითეულმა წითელ არმიელმა ყოველივე ეს კარგად უნდა იცოდეს.

მან ისე უნდა შეითვისოს კომკავშირის ისტორია, როგორც კომპარტიის ისტორია და მისი მნიშვნელობა მსოფლიო რევოლიუციაში.

ყოველივე ამის გამო ჩვენი ნაწილები დღეიდანვე უნდა შეუდგენ ამ ორ კვირეულის ჩატარებას.

კლუბებში, სამკითხველოებში, ლენინის კუთხეებში, პოლიტსაათზე უნდა შუქდებოდეს ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის ისტორია და მისი მონაპოვარი და ამოცანები.

განსაკუთრებით ამ კამპანიის ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ჯარის ნაწილებში თვით კომკავშირის წევრებმა, რომლებმაც უნდა აუხსნან თავიანთ ამხანაგ წითელ არმიელებს კომკავშირის მნიშვნელობა და სხვა.

რადიო-დეპეშები.

ოქტომბრის დღესასწაული ჩინეთში.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული ბრწყინვალედ ჩატარდა კანტონში.

შესდგა გრანდიოზული დემონსტრაცია მუშების, სტუდენტების, ჯარისკაცების, მოსწავლეობის და სხვა მოქალაქეთა მონაწილეობით.

დემონსტრაცია მოაწყო პარტია გომინდანმა.

მიტინგზე ილაპარაკეს სუნიატსენმა და სხვებმა, რომლებმაც დაახასიათეს საბჭოთა კავშირი, როგორც ერთად-ერთი ჭეშმარიტი მეგობარი.

ბოლოს გაიმართა აღლუმი.

აღლუმზე სუნ იატ სენმა აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირის წითელი არმია მაგალითი უნდა იყოს გომინდანის არმიისათვის“-ო.

საღამოს შესდგა ჩინეთის ქალთა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი.

მასიურ მიტინგმა მიიღო და გაუგზავნა საბჭოთა კავშირის აღმასკომს მისალმების დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს გომინდანის ცენტრალური კომიტეტი, კანტონის მუშათა ფედერაციის, გლეხთა, ჯარისკაცთა და სტუდენტთა ცეკა და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე.

ჩეხო-სლოვაკია ამ დღეებში იცნობს საბჭოთა კავშირს.

გაზეთ „ფოსიშე ცეიტუნგის“ კორესპონდენტის ცნობით ჩეხო-სლოვაკია იცნობს საბჭოთა კავშირს, სანამ დაიწყებდეს პოლონეთ-ჩეხიის სავაჭრო მოლაპარაკება.

აღმაშფოთებელი საქმე.

ამ დღეებში სანჯეიკიდან ოთხი მეთევზე გაიტაცა წყალმა რუმინეთის სანაპიროებისაკენ. მეთევზეები იქ შეიპყრეს და მიიყვანეს დამცველი რაზმის განყოფილებაში, სადაც მათ სცემეს.

13 ნოემბერს მეთევზეები დაბრუნდნენ საბჭოთა ტერიტორიაზე.

ექიმების შემოწმებით მეთევზეებს ცემით დაზიანებული აქვთ ხელ-ფეხი და გვერდები.

საბჭოთა პროფკავშირთა ყრილობის შესახებ.

გაზეთი „ფორვერტსი“ ირწმუნება, რომ პერსელის სიტყვა პროფკავშირთა მოსკოვის ყრილობაზე ყალბია.

შეუძლებელია, რომ ისეთ გამოცდილს და სერიოზულ პროფმოძრაობის მოღვაწეს, როგორიც არის პერსელი, ასეთი აზრი გამოეთქვა მოსკოვში ჩასვლის პირველ დღისთანავე.

„ზინოვიევის წერილის“ გარშემო.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, კომისიაზე მინიჭებული უფლებები „ზინოვიევის წერილის“ გამოძიების საქმეში არ არის ცნობილი, მაგრამ პოლიტიკური წრეების აზრით კომისიას ფართე უფლებები მიენიჭა არსებულ მდგომარეობის გაშუქების საქმეში.

კომისიას არ აქვს მხედველობაში გადასინჯოს საკითხი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

გულწრფელი აღიარება.

გაზეთი „ხოჩი“ აღნიშნავს, რომ ჩინეთის ორიენტაციამ საბჭოთა კავშირის მიმართ დიდი განგაში გა-

უსახელო წერილების წერა სირცხვილია ის ავტორის სილაჩრის მომასწავებელია.

ზოგ ზნედაცემულ ადამიანს ჩვეულება აქვს პირში ფინიასებრ გელაქუცოს, ზურგს უკან კი შენი გინება-წყევლის მეტი არა გააკეთოს რა. ასეთ ვაჟბატონებს ეკუთვნიან ისეთებიც, რომლებიც ნაცარქექიასავით ფრთხალი არიან, ტყავის ეშინიათ, ხმას არ იღებენ. სამაგიეროდ უსახელო წერილებს სწერენ. ამითი უნდათ ფონს გასვლა.

უსახელო წერილი დამახასიათებელია თვით დამწერისათვის.

დიდ უმეტეს შემთხვევაში ისინი სტყუიან. თუ კი მოახერხეს ყველაზე ადრე და ყველაზე მალე ჩაიდენენ ყოველგვარ უსასიძაგლობას, უნამუსობას და უპირისწყლობას.

ერთ ასეთ ვაჟბატონს ეკუთვნის ჩვენი ერთ-ერთი ლეგიონის სამხედრო პირი.

ჩვენ არ ვიცით ვინ არის ის: წითელ-არმიელი თუ მეთაური, ვიცით მხოლოდ, რომ რაღაც აბდაუბდას ეხება თავის უსახელო წერილში. ამისთანა ადამიანზე გაჩერებაც არა ღირს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთ ვერანებს შეუძლიათ შეაცდინონ პატიოსანი ადამიანი—ასწავლონ უსახელო წერილების წერა.

აი სწორეთ ეს არის მიზეზი ჩვენი გასჯისა.

ყველა ამხანაგმა წითელ-არმიელმა უნდა იცოდეს, რომ არც რედაქცია და არც სხვა რომელიმე დაწესებულება არ მიაქცევს არავითარ ყურადღებას უსახელო წერილს.

მართალია ხანდისხან საჭიროება მოითხოვს ავტორის ნამდვილი გვარი არ იყოს წერილზე მოწერილი. ამ შემთხვევაში ფსევდონიმით წერენ.

ფსევდონიმი ადამიანის დარქმეულ გვარს ქვია.

მაგალითად კაცი შეიძლება იყოს გვარად ხარაძე, დასწეროს წერილი გაზეთისთვის და ბოლოში მოუწეროს შუბითიძე.

ასეთ შემთხვევაში აწერენ თავის ნამდვილ გვარსაც. რედაქცია ვალდებულია შეინახოს საიდუმლოთ ავტორის ნამდვილი გვარი. გარდა ამისა რედაქცია თითონ არის პირადათ პასუხისმგებელი გაზეთში მოთავსებულ წერილის შესახებ.

ამ რიგად თვითეულ მოქალაქეს საშუალება აქვს წერისა არა ნამდვილი გვარით. თუ პირდამეწული იქნება, მის გვარს მართლაც ვერავინ გაიგებს. თუ დომბ-ყორეს მოგდება, მაშინ რასაკვირველია მას ყველა გაიგებს.

ეხლა იბადება საკითხი: ასეთ პირობებში არის თუ არა საჭირო უსახელო წერილის წერა? თავისთავად ცხადია არა. აბა რატომ სწერს ვინც სწერს?

პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება: სწერს იმიტომ რომ პირდაპირ თქმის სცხვენია. სცხვენია იმიტომ, რომ მისი დაწერილი ტყუილია, სიცრუეა. გარდა იმისა, რომ ასეთი ვაჟბატონები რედაქციას დროის მხრით აძლევენ ზარალს—აძლევიან ზარალს ფულითაც. მათ არ შესწევთ გამბედაობა წერილი მისცენ ვინმეს ხელში.

აგზავნიან ფოსტით უმარკოთ. რედაქციას გონია საქმიან წერილს გვწერს უფულო წითელ არმიელიო, იხსნის წერილს და ბოლოს „ახონიმკა“ რჩება ხელში.

ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ ასეთი წერილი ყურადღებას ვერავის მხრიდან ვერ დაიმსახურებს.

მისი დამწერი ყოველთვის პირში ჩალა გამოვლებული დარჩება.

სირცხვილია უსახელო წერილის წერა და ეს უეჭველად უნდა აღიკვეთოს.

—ი.

მოიწვია იაპონიაში, რასაც შედეგად მოჰყვა ყოფილი იმპერატორის გაძევება პეკინიდან და სახელმწიფოს ახალი ორგანიზაციის მოწყობა რომელიც მოგაგონებთ საბჭოთა სისტემასო. ასეთი განგაში ატყდა წინად ციმბირის გარშემო, რამაც დიდი ხარჯი გამოიწვია ციმბირის ექსპედიციაზე, მაგრამ ეს ექსპედიცია საუკეთესო გაკვეთილია და დიდი სიგიჟეზე იქნებოდა მისი განმეორება ჩინეთის მიმართო.

ჩვენი სრულუფლ. წარმომადგენელი მექსიკაში.

საბჭოთა კავშირის ელჩის მექსიკაში-პესტკოვსკი, რომელიც ესტუმრა იტალიის საელჩოს, მხურვალე სალამით იქნა მიღებული დიპლომატების მიერ.

ამ დიპლომატებში ერია სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების წარმომადგენლებიც, რომელთაც ჯერ არ უცვნიათ საბჭოთა კავშირი.

ამხ. კრასინი საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის კომისარი და სრულუფლ. წარმომადგენელია საფრანგეთში.

საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასკომმა გამოაქვეყნა დადგენილება კრასინის დანიშვნის შესახებ სრულუფლებიან წარმომადგენლად საფრანგეთში; კრასინი იმავე დროს დარჩება საგარეო ვაჭრობის კომისარის თანამდებობაზე.

საბჭოთა პროფკავშირთა ყრილობა. საბჭოთა კავშირის მეგობარ-მორელის პატივსაცემათ.

14 ნოემბრის დილის სხდომაზე ამხ. ტომსკიმ წაიკითხა ცნობა ინგლისის მუშათა მოძრაობის მოღვაწის—მორელის გარდაცვალების შესახებ.

ტომსკიმ აღნიშნა, რომ მორელისა და მისი ამხანაგების წყალობით შესაძლებელი შეიქნა მოლაპარაკების განახლება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის.

ტომსკიმ ყრილობის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა ინგლისის მუშებს.

ინგლისის დელეგაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ომის დროს მორელი ინგლისის მთავრობამ ჩასვა ციხეში, რამაც მძიმე დაღი დააჩნია მორელის ჯანს და ბოლოს კიდეც იმსხვერპლაო.

ამხ. რიკოვის მოხსენება.

ამხ. რიკოვი მოხსენებას აკეთებს გლეხის მეურნეობის შესახებ და აღნიშნავს მის განვითარებას სხვა და სხვა დროს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ფასების პოლიტიკას, საქონლის სიმცირეს, საგარეო პოლიტიკას და სხვა.

ბოლოს ის აღნიშნავს ყურადღების გაძლიერებას სოფლად მუშაობაში. ქალაქისა და სოფლის დაახლოების საქმე განაცხადა მან მოითხოვს, რათა მუშათა კლასმა შეისწავლოს სოფელი. მუშათა კლასი უფრო ყურადღებით უნდა მოეპყრას სოფლის ინტერესებს. ლოზუნგი „ყურადღება სოფელს“—უნდა გავატაროდ ცხოვრებაში მთლიანათ.

საჰაერო გზა მოსკოვსა და პარიზს შორის.

ახალი თვითმფრინავი.

14 ნოემბერს ჰაეროპლან „კორდონით“ პარიზიდან მოსკოვში ჩამოფრინდა საფრანგეთის ჰაეროფრენის სააქციონერო საზოგადოების დირექტორი —ჟან ლეფრანი.

ჟან ლეფრანმა როსტას კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ჩვენ ავფრინდით პარიზში 5 ნოემბერს. მარშრუტი იყო: პრაგა—ვარშავა—ვილნო—სმოლენსკი—მოსკოვი. მთელ გზაზე ცუდი ამინდები იყო: ქარი, წვიმა, ბურუსი. თუ შესვენებას არ ვიანგარიშებთ, მოგზაურობას მოუნდით 22 საათი.

ჩვენ ჩამოვედით საბჭოთა კავშირში მოსკოვსა და პარიზს შორის გზის მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ჰაეროპლანით შორეულ ჩრდილოეთში.

14 ნოემბერს წითელი სამხედრო მფრინავი ჩუხნოვსკი მიფრინდა კუნძულ „ნოვაია ზემლიაზე“ (შორეული ჩრდილოეთი) ფრენის პირობების გამოსარკვევად ჩვენს ჩრდილოეთ მხარეში.

გერმანია

ბერლინის მიწის ქვეშა რკინის გზის მუშათა გაფიცვები.

მიწის ქვეშა რკინის გზის მუშათა გაფიცვები გრძელდება.

გაფიცულთა უმეტესობა არ ეკუთვნის პროფკავშირებს.

მათ შორის ნაკლებად არიან კომუნისტები.

სოციალ-დემოკრატები ორმაგ პოზიციაზე სდგანან.

ერთი მხრით ისინი თანაუგრძნობენ გაფიცულებს, მეორე მხრით გამოსთქვამენ გაფიცვების საჩქაროდ დამთავრების იმედს.

ასეთი ორმაგი პოლიტიკა გამოწვეულია მომავალი არჩევნებით.

სოციალ-დემოკრატები მუშების მეგობრად აცხადებენ თავს, მაგრამ მეორე მხრით მათ ეშინიათ გაფიცვების დროს არჩევნების, ვინაიდან ამით შეუძლიათ ისარგებლონ კომუნისტებმა.

რკინის გზის დირექციამ ნაწილობრივად აღადგინა მიმოსვლა შტრეიკბრეხერების საშუალებით.

ბეცი თვალი სწორად ვერ ხედავს.

გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა შტრეზემანმა, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის მდგომარეობა დღეს უკეთესია, ვინემ 1923 წელში იყო.

დორტმუნდი გაწმენდილია უცხოელთა ჯარებისაგან, რურის ევაკუაცია უზრუნველყოფილია. გერმანიის ეკონომიური მთლიანობა აღდგენილია.

ეკონომიური მოლაპარაკება მოსკოვთან პირველ ხანებში თუმცა ძნელი იქნება, მაგრამ ორივე მხრიდან თუ დაცულ იქნება უფლებების პატივის ცემა, ეს სიძნელეც დაძლეულ იქნებაო.

კიდევ ფუფუნების წინააღმდეგ.

ჩვენი და საზოგადოთ, ყველა გაზეთების ფურცლებზე ხშირად იწერებოდა და იწერება წერილები ფუფუნების წინააღმდეგ ზომების მიღების საჭიროების შესახებ.

პარტიის საკონტროლო ორგანოები ყოველ დღიურად აწარმოებენ ბრძოლას ამ მოვლენების წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ბრძოლის სხვა და სხვა საშუალებებისა მას მაინც აქვს ადგილი. კომპარტიის მე-12 ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ კითხვას, მან განსაკუთრებულ ცირკულიარით მიმართა პარტიულ ორგანიზაციებს და ყველა წევრებს, რომ საერთო ძალღონით შებრძოლებოდენ ამ უარყოფით მოვლენას. ეს გარემოება გამოწვეული იყო მით, რომ ზოგიერთი პარტიის უღირსი წევრები და საბჭოთა მოსამსახურენი ბოროტად სარგებლობდენ სამსახურით მინიჭებულ უფლებებით და გაწეულ უაზრო ხარჯებით დიდ მატერიალურ ზიანს აყენებდენ სახელმწიფოს. მართალია, ამ მოვლენის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიამ დიდ შედეგებს მიაღწია, მაგრამ მთლიანად კი ვერ მოსპო ის და მას, როგორც ირკვევა, კიდევ აქვს ადგილი საბჭოთა სინამდვილეში.

აქედან: ბრძოლას ფუფუნების წინააღმდეგ უნდა მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

რას უწოდებთ ჩვენ ფუფუნებას?

ფუფუნების საგნათ ჩაითვლება ისეთი რამე, რომელიც დააკისრებს ზედმეტ ხარჯებს სახელმწიფოს. ფუფუნების საგნად ამავე დროს უნდა ჩაითვალოს დროის უაზროდ დაკარგვა, კამპანიების გამართვა, გაცილება ამა თუ იმ პირის. ზედმეტი საგნების შეძენა—ესეც ფუფუნებაა. ასეთ სანიმუშო მაგალითს ქონდა ადგილი ჩვენი დივიზიის ცხოვრებაში. სამხკომის თანაშემწემ თავისთვის შეიძინა განსაკუთრებული ბლოკნოტი ნაბეჭდი წარწერით. ცხადია, მას ზედმეტი ხარჯი გაუწევია; მისთვის ამ სახის ბლოკ-ნოტი არავითარ აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა. მას შეეძლო ბლოკნოტის ნაცვლად ნაწილისათვის გაზეთი გამოეწერა, ან წითელ კუთხისათვის მოეხმარა ის ფული. დროა, ყველამ გაიმსჭვალოს იმ აზრით, რომ ჩვენი სახელმწიფოს სალარო ღარიბია ფინანსებით და ხარჯებს უნდა მოფიქრებით და ეკონომიით გაწევა. პარტ-ამხანაგების, ორგანიზაციების და საბჭოთა მოსამსახურეების მოვალეობას შეადგენს, გაწიოს ენერგიული ბრძოლა ფუფუნების წინააღმდეგ, რომ ამით ხელი შეუწყონ სახელმწიფოს გაჯანსაღების და აღორძინების საქმეს.

ს. ლ.

ჩვეულებრივი ცილისწამება.

ფულდში (გერმანიაშია) დააპატიმრეს ორი კომუნისტი—ხმოსანი და კომპარტიის ორგანიზაციის რამოდენიმე წევრი.

გაავრცელეს ყალბი ხმები, თითქოს დაპატიმრებულებს გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ ტყვიამფრქვევები და ამაფეთქებელი ნივთიერებანი.

სვერდლოვსკი და ზინოვიევსკი.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა შეუცვალონ სახელი ეკატერინბურგს და ელისავეტგრადსკ, პირველს უწოდონ სვერტლოვსკი, მეორეს—ზინოვიევსკი.

თეთრი ნახშირი და ელექტროფიკაცია.

საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ფრიად საპატიო ადგილი უკავია „თეთრ ნახშირს“, ე. ი. მოძრავ წყლის ძალას, როგორც ამოუწურველ და ყველაზე უფრო იაფ ენერგიას. ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებისათვის საჭიროა ერთნაირი ენერგია, ძალა; ასეთ ენერგიის მისაღებად სარგებლობენ ქვანახშირით, ნავთით, მდინარეების და წყალვარდნილების ძალით. ქვანახშირის და ნავთით ენერგიის მიღება ძალიან ძვირი ჯდება, მით უმეტეს ისეთ ქვეყნისათვის, რომელთაც არ აქვთ საკუთარი ნახშირი და ნავთი. საქართველო მთიანი ქვეყანაა, იგი ყოველ მიმართულებით დასერილია ჩქარი მდინარეებით და წყლებით, რომელნიც იაფი ენერგიის ან „თეთრი ნახშირის“ დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ. სპეციალისტების გამოანგარიშებით ეს ენერგია უდრის 3 ნახ. მილიონ ცხენის ძალას. თუ ავიღებთ ჩვენ ევროპის სახელმწიფოებს ცალ ცალკე და შევადარებთ საქართველოს ჰიდსავლიურ ენერგიით უზრუნველყოფის მხრივ, მივიღებთ, რომ საქართველოს უჭირავს შვეიცარიის შემდეგ პირველი ადგილი. განსაკუთრებულად მდინარეებში აღსანიშნავია ინგური, ჭოროხი, აჭარის-წყალი, რიონი, ტეხური, ცხენის წყალი, ძირულა, მტკვარი, არაგვი, ავჭალა, ალაზანი, იორი.

„თეთრი ნახშირის“ გამოყენება დაკავშირებულია ელექტროფიკაციასთან, ვინაიდან უკანასკნელი არის ენერგიის სარგებლობის ყველაზე უფრო რაციონალური და მიზანშეწონილი წესი, აგრეთვე ელექტრონის ენერგიის გადაცემა შესაძლებელია 500—600 და მეტი ვერსის მანძილზე.

მრეწველობის რა დარგებში შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენ წყლის ძალისაგან მიღებული ელექტრონის ენერგია? მას უდიდესი მნიშვნელობა ექნება სამთო-მადნო მრეწველობისათვის, რკინის გზებისათვის, გარდამუშავებითი მრეწველობისათვის და სასოფლო მეურნეობისათვის. აღნიშნულ დარგებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სათბობ მასალას. აქამდი უკანასკნელის როლს ასრულებს ქვანახშირი და ნავთი, რაც ძალიან ძვირად ჯდება. „თეთრი ნახშირის გამოყენებით კი მიხწეული იქნება უდიდესი ეკონომია.

სამთო-მადნო მრეწველობის შემდეგ ელექტროფიკაციის მნიშვნელობა უდიდესია რკინის გზებისათვის. რკინის გზების ორთქლის ენერგიიდან ელექტრონის ენერგიაზე გადაყვანა ხელს შეუწყობს რკინის გზის ქსელის განვითარებას, ხარჯების და სხვა. ამ დარგში საჭირო ენერგიის რაოდენობა აღრიცხულია 150.000 ცხ. ძალაში.

სასოფლო და სატყეო მეურნეობისათვის თეთრი ნახშირის გამოყენების მნიშვნელობა არა ნაკლებია. იგი გააფართოებს და გააადვილებს მორწყვის და ჭაობების ამოშრობის საქმეს.

გარდა ამისა თეთრი ნახშირის ენერგიის გამოყენება გაიაფებს განათებას, მოაწესრიგებს ქალაქებისათვის სუფთა წყლის მიწოდებას და სხვა.

რადგანაც „თეთრი ნახშირის“ მნიშვნელობა უსაზღვროა, ყველა კულტურული სახელმწიფოები ცდილობენ ჰიდროვლიურ ენერგიის მოხმარებაზე გადასვლას.

საქართველოს საბჭოთა მთავრობა ამ საკითხს უდიდეს ყურადღებას აქცევს და მრავალ ადგილებს სწარმოებს მუშაობა ჰიდრო-ელექტრონულ სადგურების ასაგებად. განვიხილოთ ზოგიერთები.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-სადგურის აგება დაიწყო 1922 წ. ტფილისის 15 ვერსის მოშორებით არაგვისა და მტკვრის შესართავთან. მუშაობს ხუთი ათასი მუშა. სადგურის აგება ჯდება 7 მილიონი მანეთი. აგების შემდეგ იგი მოგვცემს 35.000 ცხენის ძალის ენერგიას. იგი ააყვავებს და გააცხოველებს ტფილისის მრეწველობას, ტრამვაის, გაუმჯობესებს წყლის მიწოდებას, მოგვცემს ტრამვაის გაყვანის საშუალებას ტფილისსა და მანგლისის, კოჯორის, ალბულალის და სხვა ადგილების შორის.

განძრახულია დაიწყოს მუშაობა ასეთივე ჰიგანტურ სადგურის ასაგებად აჭარის წყალზე, რომელიც მისცემს იაფ ენერგიას ბათომის და მის რაიონის მრეწველობას და ხელს შეუწყობს აჭარის ჭაობების ამოშრობას. სადგური განზრახულია ხუთმეტი ათასი ცხენის ძალის ენერგიის მისაღებად.

სწარმოებს მუშაობა აბაშის სადგურის ასაგებად, რომელიც განზრახულია 2.000 ცხენის ძალის ენერგიის მისაღებად.

მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება გურიაში ბჟუჟის წყალზე ჰიდრო სადგურის აგება. იგი მისცემს 2.600 ცხენის ძალის ენერგიას.

შემუშავებულია პროექტი და 1925 წლიდან შეუდგებიან სურამის ულელტეხილის ელექტროფიკაციას. აგრეთვე აღსანიშნავია გეგმა კახეთის ელექტროფიკაციისა მდინარე სტორზე 4.000 ცხენის ძალის სადგურის აგებით. გეგმა უკვე დამუშავებულია. სადგურის აგება დაჯდება 1 მილიონი 600 ათასი მანეთი. ზემო ჩამოთვლილი მიხწევანი არ გვაძლევენ სრულ სურათს იმისა, თუ რა კეთდება საქართველოს ელექტროფიკაციის საქმეში.

მ. ბ.

დღეს მოხდება ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის განათხარის სადღესასწაულო გახსნა.

ჩვენს წითელ ჯარში

რა დავინახე წითელ ყაზარმაში.

(ახალწვეულის შთაბეჭდილება).

ამხ. წითელ არმიელებო—ახალწ- ულებო, მე მინდა გადმოგცეთ ვენ ყველა ის შთაბეჭდილებანი, მლებიც მივიღე წითელ ყაზარმა- მოსვლით.

მართალი გითხრათ მე წინდაწინ- ვგრძნობდი, რომ წითელი ყაზა- , მართლა სხვაგვარად შეიჭრე- და სოფლიდან ჩამოსულ ახალწ- ულის ცხოვრებაში. ამიტომ იყო, მ სოფელში ყოფნის დროს ყო- ლთვის გავიძახოდი:

„როდის დამიდგება ის ბედნიერი თები, რომ ჯარში გამიწვიონ მე- ".

ეს წუთებიც დადგა და წითელი არმა ასჯერ უფრო კარგი ყოფი- იმაზე, როგორც მე მქონდა წა- ოდგენილი.

რა ვნახე წითელ ყაზარმაში.

უპირველეს ყოვლისა ის რომ ფლიდან ჩამოსულ გაუნათლებე ხალხის სწავლასა და განვითა- ბის საქმეს დიდ ყურადღებას აქ- ვენ.

ახლად მოსულებში ყოველ 100 ცში მარტო ხუთი გამოდიოდა ეთი, რომ წერა-კითხვა იცოდა, ანარჩენებს არაფერი გაეგებათ.

რამოდენიმე თვის შემდეგ, ყვე- ა ეს წერა-კითხვის უცოდინარები ვენივრად კითხულობენ.

პოლიტიკური განვითარებით ალ- ურვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ერმა არც იცოდა თუ ვის ინტერესებს იცავს ჩვენი მთავრობა. მაგრამ ყაზარმაში მოსვლით მისთვის ყველაფერი ნათელი შეიქმნა ამ მხრივ. წერა-კითხვის შესწავლას და პოლიტ-საათებს სამხედრო საქმეზე ნაკლები ყურადღება არ ექცევა, რადგან მარტო იარაღის ჩხარუნი ვერაფერს გვიშველის თუ განათლება არა გაქვს, ამასთანავე საჭიროა სამხედრო საქმეც, თორემ მტერი თუ დაგვესხა თავს იარაღის ხმარებაც უნდა იცოდე.

საზრდოთი და ტანსაცმელით ხომ ყველა დაკმაყოფილებული ვართ. ჰიგიენის მხრივ სასტიკი თვალყურის დევნებაა, რომ ადგილი არ ექნეს უსუფთაობას.

მეთაურები ძმურად და ამხანაგურად გვექცევიან, მაგრამ თუ რამეს გავაფუჭებთ და მაშინ სიმკაცრეს გამოიჩენენ ამაში ვინ უნდა დასძრახოს ისინი? ეს ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენად პირნათლად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას. თავისუფალ დროს არ გვაკლია მხიარულება, კლუბში სიარული, ლექციები, კინო-სურათები და ათასგვარი რამ.

ვისაც სურვილი აქვს (და თუ არ გაქვს ძალასაც დაგატანებენ) დაჯექი, ისწავლე და განვითარდი. მართლაც რომ სკოლა ყოფილა წითელი ყაზარმა.

ახალწვეული.

მეოთხე ლეგიონის ცხოვრებიდან.

4 ნოემბერს ჩვენი ლეგიონის მე- რე ათასეული გაემგზავრა ოზურ- ეთში. ახალწვეულები საკმაოდ მო- დენ ჩვენთან, მაგრამ ათასეულის სავსებად მაინც საჭირო შეიქნა რველი ათასეულიდან გადაეყვანათ ორეში არმიელების საგრძნობი რაოდენობა და ამ სახით გამგზავრებულიყო ოზურგეთში.

წითელი მეთაურებიც თითქმის პროპორციონალურად იქნენ განაწილებული ათასეულებში. ახალწვეულებში უკვე დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა.

უმთავრესი ამოცანა.

უმთავრეს ამოცანად ლეგიონმა ჟამად დაისახა დიდი ოქტომბრის ევოლიუციის ისტორიის შესწავ- . ეს საქმე დაეკისრათ წითელ მეთაურებს და პოლიტხელმძღვანელებს, რომლებიც უკვე შეუდგენ წითელ არმიელებში—ახალწვეულებში საუბრების ჩატარებას ამ საგანზე.

ერთ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

როგორც ზევით ავღნიშნე, ჩვენ- ან ახალწვეულები საკმაოდ მოვი- ენ; ამ ჟამად მათი რიცხვი აღწევს 0 კაცამდე. აქ არიან ჩვენი ქვე- ნის ყველა კუთხიდან: კახელი, მერელი, მეგრელი, სვანი, ლეჩხუ- ლი, რაჭველი, გურული, ქართლე- ი და სხვა.

მათ შორის ხშირად უკმაყოფი- ება ვარდება, რადგან ერთი მხარის ვილი ხშირად ვერ ურიგდება მეო- ის უცენზურო სიტყვებს. მაგალითად ასეთი შემთხვევა იყო: ერთმა კახელმა უხეში სიტყვით გული მოაყვანია ერთ სვანს და გამართეს ჩხუბი.

მართალია თვით ახალწვეულებმა გაასამართლეს ისინი, მაგრამ ჩვენ მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი ამ ჟამად ექეთკენ უნდა გადავიტანოთ, რომ ახალწვეულებში განვავითაროთ ნამდვილი ამხანაგური დამოკიდულება და ერთმანეთისადმი პატივისცემის გრძნობა.

წით. მეთ. ქ. ფ—ლი

ასეთ სამარცხვინო მოვლენას მეორედ არ უნდა ექნეს ადგილი.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, ოდესაც ჩვენმა ზემდეგმა შამოაღო აზარმის კარები. ირგვლივ სიჩუმე. ორიგიდან დაწყებული დღიურამ- ე ყველას სძინავს. მოდის ზემდე- ი და გამოაქვს მათი თოფები.

რას მივაწეროთ ასეთი მოვლენა? ღიურისა და მორიგისაგან წესდების უცოდინარეობას თუ მათ უყურადღებობას? რა თქმა უნდა მეორეს, რადგან საყარაულო წესდება ყველას კარგად აქვს შეთვისებული ჩვენთან. ასეთი გულგრილობა და უყურადღებობა ჯერ ერთი სირცხვილია ამხანაგებისათვის და შემდეგ კი დაუშვებელი სამსახურის თვალსაზრისითაც.

დროა გამოფხიზლდენ ეს ამხანაგები და სინდისიერად მოეპყრან თავის მოვალეობას. თუ აქედანვე შეეჩვიეთ ამხანაგებო სიზარმაცეს, რაღა იმედი უნდა გვექნეს თქვენი ბრძოლის ველზე, სადაც გუშაგის ხელშია მრავალი ამხანაგების სიცოცხლე?

მე იმედი მაქვს, რომ ასეთი სამარცხვინო მოვლენა მეორედ აღარ განმეორდება ჩვენს საარტილერიო პარკში.

მ. ქქიფურიშვილი.

პირველ საკავშირო ასეულის ბიბლიოთეკა.

ჩვენი ბიბლიოთეკა სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს. ბიბგამგე ენერგიული მუშაკია, კარგად იცავს სისუფთავეს და წესიერებას.

თითონ ბიბლიოთეკა მოთავსებულია კარგად მოზრდილ ოთახში, იქვეა მოწყობილი სხვა და სხვა კუთხეები: ლენინის კუთხე, პოლიტიკური, სამხედრო-სამეცნიერო, ანტი-რელიგიური და ოქტომბრის რევოლიუციის კუთხე. ყველანი სამაგალითოდ არიან მოწყობილი, აქვთ სათანადო ახსნა განმარტებანი თუ რა მნიშვნელობა აქვს თითეულ მათგანს და სხვა.

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ყოველ დღე მოდის ჩვენს სამკითველოში. ბიბ-გამგის ინიციატივით გამოშვებული იქნა აგრეთვე საბიბლიოთეკო კედლის გაზეთის ორი ნომერი, რომლებმაც თავისი შინაარსით საკმაოდ მიიზიდა წითელ-არმიელთა მასა.

ამ ახლო მომავალში დაიწყება სხვა და სხვა წრეებში მეცადინეობაც.

სამხკორი შალაშინი.

სასპორტო წრე მე-6-ე ლეგიონში.

თუმცა ჩვენი ლეგიონი ახალი შემდგარია, მაგრამ ამხანაგების ერთგულ მუშაობის წყალობით ჩვენი სპორტწრე არ ჩამოუვარდება სხვა ლეგიონის წრეებს.

ორ ნოემბერს მოხდა სამტრედიის რაიონისა და ჩვენი ლეგიონის სპორტ-წრეს შორის შეჯიბრება. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხარეს კარგი მომზადებული სპორტსმენები ჰყავდა. მაგრამ ჩვენმა ლეგიონმა გაიმარჯვა ოთხჯერ, იმათ კი ერთჯერ.

ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენს ლეგიონში წითელ მეთაურებს შორის აღმოჩნდა საუკეთესოდ მომზადებული ამხანაგები, რომლებმაც დიდი სიყვარული ჩაუნერგეს წითელ არმიელებს ამ მხრივ.

წრეში შედის უფპოლიტ და წითელ არმიელთა შემადგენლობა.

შემადგენლობისთვის ეს წრე გაიყოფა ორ ნაწილად. ერთი ნაწილი იქნება მოგზაური, რომელიც ივლის სავარჯიშოდ ზუგდიდ ოზურგეთის ათასეულებში. მეორე კი ადგილობრივად იმუშავებს.

ასე რომ ჩვენი კლუბის მუშაობა ამ მხრივ დამაკმაყოფილებელია.

ს. სამტრედიელი.

ქართულ მეთაურთა სკოლის მდგომარეობიდან.

ჩვენი სკოლა მაშინ იქნა დაარსებული, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკა მეტად ცუდ ეკონომიურ პირობებში იყო ჩამდგარი. გასაკვირი არ არის ამიტომ თუ სკოლა პირველ ხანებში ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ ჟამად კი, როდესაც საკმაოდ გაჯანსაღდა ჩვენი რესპუბლიკების მდგომარეობა ეკონომიურ ფრონტებზე, ჩვენს სკოლასაც მიექცა ყურადღება.

მართლაც 1923 წლიდან დაწყებული დღემდე საბჭოთა მთავრობა არ ზოგავს არავითარ საშვალებას, რომ სკოლა დააყენოს შესაფერ სიმაღლეზე.

თუ 1921-22 წლებში სკოლა მოკლებული იყო კარგ ტანსაცმელს, დღეს თვითეულ კურსანტს აქვს უკვე ორი ხელი ტანსაცმელი; თუ წინეთ ულუფათ ვღებულობდით ნახევარ გირვანქა პურს, დღეს ვღებულობთ 2 ნახ. გირ. თუ 1921-22 წლებში კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა არ სწარმოებდა მატერიალურ და პედაგოგიურ ელემენტების უქონლობის გამო, დღეს მუშაობა ამ დარგებში საკმაოდ ძლიერი ტემპით მიმდინარეობს.

ჩვენი მთავრობა ყოველ ფეხის გადადგმაზე სცდილობს რომ მუშურ-გლეხური სამხედრო სკოლა დააყენოს შესაფერ სიმაღლეზე, რომ სკოლაში მყოფ მუშების და გლეხების შვილებს გაუადვილდეს ცოდნის და გამოცდილებების მიღება და მით გამოვიდენ ღირსეული წითელი მეთაურები, რომ უფრო ადვილად შესძლონ გარეშე და შინაურ მტრებისგან მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლების დაცვა.

ე. ესაიაშვილი.

საზეიმო სხდომა საკავშირო ასეულში.

10 ნოემბერს პირველი დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულში შესდგა ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის წევრებისა და პარტამხანაგების საზეიმო სხდომა ასეულებიდან არმიელების გაშვების გამო.

საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. ქელიძემ, რომელმაც მოკლედ აღნიშნა კომკავშირელთა მოვალეობა სოფლად წითელი ჯარის რიგებიდან დაბრუნების შემდეგ.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი ამხ. ნ. პატარაია. მან ნაკაზი წაუკითხა სოფლად მიმავალ წითელ არმიელებს, სადაც აღნიშნული იყო თუ როგორ უნდა იმუშაონ იქ, და მოიწერონ წერილები ძველი წითელ არმიელების საქმიანობის შესახებ. მუშაობენ თუ არა ისინი სოფლის საბჭოებში, ალმასკომებში, კოოპერატივებში თუ მუშაობენ როგორ და სხვა.

ამხ. პატარაიას შემდეგ სიტყვა აიღო ძველმა წითელ არმიელმა ამხ. ლეშკაშელმა. მან ფიცი დასდო კრების წინაშე ყველა მიმავალი წითელ არმიელების სახელით, რომ ისე იმოქმედებენ სოფლად, როგორც ამ ჟამად ავალებენ მათ ძვირფასი უფროსი ამხანაგები.

ამხ. ლეშკაშელი მადლობას უძღვნის წითელ არმიელების სახელით მთელ უფშემადგენლობას, რომელსაც ისე დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს აღზრდაშიო". სხდომა დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით, რის შემდეგ გაიმართა პოლიტ-ლოტარეია. წითელ არმიელები დასაჩუქრებული იქნენ სხვა და სხვა ნივთებით.

სამხკორი შალაშინი.

ჩვენი შემოქმედებანი.

„პანორამა" № 31.

(1-ლ ქ. მ. დ. საარტილერიო დივიზიონის ყოველ კვირეული კედლის გაზეთი).

ეს ნომერი საზეიმოა, გამოცემულია ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავზე.

ის არ გავს ჩვეულებრივ კედლის გაზეთებს, რომელიც აქამდის გამოდიოდა ჩვენს ნაწილებში, უფრო ლამაზია და ფორმატიც ორგინალურია.

ის თვალს იტაცებს თავისი ლამაზი მხატვრობით და ლოზუნგებით.

წერილების უმრავლესობა დაბეჭდილია მანქანაზე და შემდეგ მიკრული, მაგრამ ისე მოხდენილად რომ, სარედაქციო კოლეგიას, თუმცა კი უკეთესი იქნებოდა ხელით იყოს ნაწერი და დიდი ასოებით, ასევე მიკრული ზოგიერთი სურათები.

წერილები:

1. „ოქტომბერი".
2. „ვ. ი. ლენინის დაბრუნება რუსეთში 1917 წ."
3. „25 ოქტომბრის 7 წლის თავზე."
4. „ახალწვეულების ვალი", (ლექსი).
5. „ამხანაგებო", (წერილი).
6. „ოქტომბრის შემდეგ" (ლექსი).
7. „მუშების და წითელ არმიელების კავშირი.
8. „წითელ არმიელის მოგონება.

სურათები:

1. წითელი არტილერისტი საგუშაგოზე ქვემეხთან.
2. მარჯვნივ—ლენინი ტრიბუნაზე.
3. მარცხნივ მუშა ქარხანასთან, რომელიც ამხანაგებს (გლეხებს, მუშებს, წითელ არმიელებს) მიუთითებს ამომავალ მზისკენ.
4. ლენინი მიტინგზე, სადაც არიან აგრეთვე ტროცკი და სხვები.
5. ლენინი მთელი ტანით.
6. მიტინგი.
7. ბატარეა.
8. ბატარეა ბრძოლაში.
9. საზამთრო სასახლის აღება (ყველა ოქტომბრის დღეებიდან.)
10. კამენევი, ზინოვიევი ბუხარინი.

გაზეთი როგორც მთლიანად, ისე ცალ-ცალკე ყველა წერილები, ლექსები, სურათები კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, მასალები შერჩეულია, მოკლეები და გასაგებ ენით ნაწერი.

ეტყობა კოლეგიას ძლიერ უმუშავნია გაზეთის ღირსების გაუმჯობესებისათვის. უსურვებთ მათ კვლავ ასეთი ენერგიით გამოცემას.

ს. ნი.

საზღვარ გარეთის არმიებში.

ახალი ინგლისური კრეისერი.

კრეისერი „ფრაბიშერი," რომელიც გირაოში ქონდა აღებული ინგლისის მთავრობას ჯერ კიდევ რვა წლის წინეთ, ამ ჟამად შეტანილია, ბრიტანეთის სამხედრო ფლოტის რიცხვში. აღნიშნული კრეისერი ამის შემდეგ ითვლება უფროს კრეისერად ბრიტანეთის ხმელთა შუა ზღვის ფლოტში.

რუმინეთის ფლოტის მანევრები.

10 ოქტომბერს მდინარე დუნაის შესართავთან დაიწყო რუმინეთის ფლოტის დიდი მანევრები, რომელსაც ხელმძღვანელობს თავადი ნიკოლოზი. მანევრებში მონაწილეობას ღებულობენ: გენერალური შტაბი, რუმინეთის არმიის ყველა ინსპექტორები, პარლამენტის დელეგაცია და უცხოელ სახელმწიფოთა წარმომადგენლობის ატაშეები.

რადიო მიღწევები.

ამერიკაში მოახდინეს ცდა ახალ რადიო ტელეფონებზე, რომელმაც სავსებით გაამართლა რადიო ტელეფონების საშუალებით მოძრავ ტანკებიდან კავშირის დაჭერის შესაძლებლობა. დამაკმაყოფილებელი შექნა აგრეთვე კავშირი ჰაეროპლანების და ტანკების რადიო-ტელეფონების მოხმარებით.

ახალი ფრანგული ტიპის ზარბაზანი.

საფრანგეთში გამოიგონეს ახალი-უზარმაზარი საზღვაო ზარბაზანი. მისი სიგრძე უდრის 21 მეტრს (10 საჟენ ნახევარი) სიმძიმე 80,000 კილოგრამს (ანუ 88 ნახ. ტონს, ხოლო ერთ ტონში კი 61 ფუთია). გასროლის მანძილი 60 ინგლისური მილი. ჭურვის სიმძიმე—420 კილოგრამი. იარაღი დანიშნულია სანაპირო თავდაცვისათვის.

ხაზოვანი (линейные) და მსუბუქი დივიზიები.

საფრანგეთის არმიაში ფეხოსანთა დივიზიებს ამ ჟამად უწოდებენ „ხაზოვან-"ს, ხოლო ცხენოსანს კი „მსუბუქ დივიზიებს".

„მსუბუქი" დივიზია შესდგება 6 ცხენოსანთა ლეგიონისაგან, რომელსაც თან ახლავს ფეხოსანი ჯარი ავტომობილებით, მფრინავებით, არტილერიით და ტყვიამფრქვევით, ხოლო საჭიროების დროს ტანკებით და სამთო არტილერიით.

მეცნიერება და ტექნიკა

რადიო საწერი მანქანა.

ამ მანქანის გამოგონების იდეა და რამოდენიმედ მისი კონსტრუქცია ეკუთვნის ორ გერმანელ მეცნიერს, ხოლო მისი პრაქტიკაში გამოყენება და საგრძნობი გაუმჯობესების შეტანა მანქანის საერთო კონსტრუქციაში ეკუთვნის, ლონდონის რადიო-კომპანიის დამაარსებელს და ამერიკის რადიო კორპორაციის პრეზიდენტს უილიამ დაბილიერს.

საწერი მანქანა შეერთებულია განსაკუთრებულ ხელსაწყოსთან, რომელიც გადასცემს სივრცეში სხვა და სხვა სიგრძის და ხშირად ცვალებადობაში მყოფ სიძლიერის რადიო ტალღებს.

რადიო ტალღების ცვლილება ხდება ავტომატიურად, განსაზღვრულ დროის შუალედებში და გადაგზავნილი კორესპონდენციის მიღება მთლიანად მხოლოდ იმ სადგურს შეუძლია, რომელსაც აქვს საამისო მიმღები აპარატი.

ასევე ავტომატიურად და სრული მეთოდიურობით ღებულობს და ბეჭდავს ეს აპარატი გადმოცემულ ცნობებს.

ჩვეულებრივი მიმღები სადგური ვერ შეითვისებს მას, რადგანაც თუ მოაწყობს თავის მიმღებ აპარატს რადიო ტალღის განსაზღვრულ სიგრძის მიხედვით, მაშინ ის ვერ შეითვისებს გადამცემ აპარატის ყველა „ქერვეულ" რხევას.

ამნაირად გადაცემის საიდუმლოება უზრუნველყოფილია სავსებით.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიაწერენ ამ გამოგონებას ევროპისა და ამერიკის საქმიან წრეებში და აღნიშნავენ, რომ მას დიდი მნიშვნელობა ექნება კომერციულ ურთიერთობაში.

საგაზეთო საქმიანობით გატაცებული ხალხი კი სულ სხვაზე ოცნებობს.

ისინი ფიქრობენ, რომ „რადიო-საწერი მანქანით" გადმოცემულ ცნობების მიღებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლინოტიპი და ამნაირად, ამერიკიდან გადმოცემული ახალი ცნობები წამსვე ჩამოისხმის ტყვიის სტრიქონებში, ამით კი თავიდან აიცილებენ ამ ჟამად წარმოებულ ხანგრძლივ პროცედურას შიფრის გახსნის საქმეში, მათ გადაწერას, დამუშავებას და სტამბაში მთელ მოგზაურობას. მათ წაიკითხავენ მხოლოდ კორექტორები.

ცხადია ყველასათვის თუ რამდენად გააადვილებს და დააჩქარებს ეს ახალი გამოგონება გაზეთის გამოშვების საქმეს.

აპარატს შეუძლია გადასცეს ერთი წუთის განმავლობაში 190 სიტყვა. გადაცემის სიჩქარე შეზღუდულია მიმღები აპარატის მეოხებით, რადგანაც უკანასკნელი უფრო მცირე ძალით არის აღჭურვილი და ვერ ასწრებს აუარება სიტყვების ასოებში ჩამოსხმას.

სამხედრო ტრიბუნალში.

13 ნოემბერს სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. დ. ხიხაძის თავმჯდომარეობით და კოლეგიის წევრების გოგიჩაიშვილის და გაბუნიას მონაწილეობით განიხილა საქმე მე 4-ე ლეგიონის წ. არმიელის ზაქარია ჯაჭვაძესი, რომელსაც ბრალად ედებოდა სამხედრო ნაწილის ორჯერ თავის ნებით მიტოვება ე. ი. დეზერტირობა ს. ს. კ. 211 1 მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულში.

ბრალდებული ჯაჭვაძე იყო გაწვეული სავალდებულო სამხედრო სამსახურში ამა 1924 წ. ივნისში და ჩარიცხული მე 4 ლეგიონში 22 ივნისს. დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ ლეგიონში ჩარიცხვისა ე. ი. 22 ივლისს ის უფროსების ნებადაურთველათ სტოვებს ნაწილს და იპარება სახლში, სადაც რჩება ერთ თვემდე. უკან დაბრუნებას, როდესაც სჩანს აღარ აპირებდა, იქნა შეპყრობილი და გადაგზავნილი სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისარიატში, საიდგანაც უნდა გადმოეგზავნათ ის თავის ნაწილში.

რამოდენიმე დღე გააჩერეს ის სამხედრო კომისარიატში, და შემდეგ უნდა გადმოეგზავნათ თავის ნაწილში დანიშნულისამებრ, მაგრამ ჯაჭვაძემ აქედანაც მოისურვა გაქცევა, მოიყვანა კიდეც სისრულეში ეს განზრახვა, მაგრამ იმავე დღეს გზაშივე იქმნა შეპყრობილი. ბრალდებული პირველად სახლში გაპარვის მიზეზად ასახელებს ოჯახურ გაჭირვებას, კომისარიატიდგან გაქცევას კი ხსნის იმით, რომ თვითონ ისურვა ნაწილში გამოცხადებაო.

ბრალდებული აცხადებს, რომ ნაწილში კარგად ექცეოდნენ, კარგად იცოდა კიდეც, რომ უნებართვოდ წასვლა არ შეიძლებოდა, მაგრამ მოვტყუვდი და გადავედიო.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა ჯაჭვაძეს თავისუფლების აღკვეთა გამ. სახლში მოთავსებით ექვსი თვის ვადით, თანაც ქონების კონფისკაცია სამასი მანეთის ღირებულებით, მაგრამ კონფისკაცია მისი ღარიბული მდგომარეობის გამო და თანახმად ს. ს. კ. 28 მ. სრულებით მოხსნა ექვსი თვის დაპატიმრების ძალაში დატოვებით.

დიხ.

ახალი ამბები.

— **წიგნის საღამო წითელ არმიელთათვის.** ახლო მომავლისათვის განზრახულია წითელ-არმიელთა კლუბში მოეწყოს „წიგნის საღამო", წითელ-არმიელთათვის.

— **მუშაობა წვევამდელებში.** ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილება ფიქრობს შუამდგომლობა აღძრას ქალ. აღმასკომის წინაშე, გადასცეს პოლიტგანყოფილებას წვევამდელებში სამუშაოთ ფეხბურთისათვის საჭირო ინვენტარი.

— **სამხედრო მაგიდები.** საქ. კომის. საბჭომ წინადადება მისცა ა. კ. ფინ. სახ. კომისარიატის რწმუნებულს, გასცეს 9.990 მანეთი მაზრაში არსებულ სამხ. მაგიდების შესანახათ.

— **თემების სისტემაზე გადასვლა.** შინ. საქმ. სახ. კომისარიატმა მისწერა ცირკულიარულათ ყველა მაზრებს, სარაიონო და სასოფლო ერთეულების გაუქმების და სათემო აღმასკომების სისტემაზე გადასვლის შესახებ.

— **სამეცნიერო ექსპედიციამ** ხულოს რაიონში (აჭარა) გამოკვლევათა დროს აღმოაჩინა საუკეთესო ღირსების მინერალური წყლები.

— **ხუდადოვის ტყე.** ქალ. აღმასკომის სატყეო სექციის გადაწყვეტილებით ხუდადოვის ტყე (ნაძალადევში) იქნება შემოკავებული, მისი დაცვის მიზნით.

— **ბავშთა ექიმობა.** ჯანსახკომთან, ქალთა განყოფილების ინიციატივით იხსნება ახლათ დაბადებულ ბავშთა საექიმოთ საკონსულტაციო კომისია.

საქონლის ჭირთან საბრძოლველათ. საქ სახკომსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა. კ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე გადისდონ 10 ათასი მანეთი დუშეთის მაზრაში საქ. ჭირთან საბრძოლველათ.

— **მანქანების შესაძენათ.** ს. უ. ეკ. საბჭომ ნება დართო საქ. ს. მ. უ. ს. გაგზავნოს თავის წარმომადგენელი საზღვარ გარეთ ტყავის ქარხნისათვის, გრეხილი ავეჯეულობის ქარხნისათვის და ქუთ. საქსოვი ქარხნისათვის ახალი მანქანების შესაძენათ.

— **წიგნების რიცხვი ბიბლიოთეკებში.** ტფ. განათლების განყოფილების ბიბლიოთეკებში წიგნების საერთო რიცხვი, ოქტომბრისათვის უდრიდა 70.536 ტომს.

— **ქართველი მომღერლები უცხოეთში.** მომღერალი ინაშვილი, რომელიც ამჟამად იტალიის ქალაქებში მღერის, დიდ ფურორს ახდენს. გაზეთები წინასწარმეტყველებენ მის დიდ მომავალს.

— **სარაჯიშვილის საპატივცემოთ.** დღეს ოპერის თეატრში განსვენებულ მომღერალ სარაჯიშვილის ხსოვნის საპატივსაცემოთ წარმოდგენილ იქნება „აბესალომ და ეთერი".

— **დახმარება უმუშევრებს.** ოქტომბრის განმავლობაში დამზღვევმა კასამ დაურიგა უმუშევარ დაზღვეულებს, დახმარების სახით 5.588 მან.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. რიოს. თქვენი კორესპონდენცია „მესამე ათასეულიდან" არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ წერილები ხშირად.

ამხ. შრომიშვილს. თქვენი შენიშვნა „კინო თუ თვალების დავსება" არ გავა. ამის შესახებ უკვე აღინიშნა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ამხ. ტილოშელს. წერილი „პატარა მითითება დიდ საქმეზე" არ დაიბეჭდება.

ამხ. შულაძეს. წერილი „მეექვ ლეგიონს გამოაკლდა ერთი საუკეთესო ამხანაგი" არ გავა. ამაზე უკვე იყო ერთი წერილი მოთავსებული.

ამხ. ს. ყუბანეიშვილს. თქვენი განცხადება „აღდგენილია" არ გავა.

ამხ. კვირიკაძეს. თქვენი წერილი „საჭიროა ხმადაბალი ლოზუნ" არ დაიბეჭდება.

ანტირელიგიურ ფრონტზე.

როგორ წარმოიშვა და განვითარდა სარწმუნოება.

ლეგენდის შექმნა საიქიოს ცხოვრების შესახებ მარტო ქრისტიანულ სარწმუნოებას არ ეკუთვნის. ის შეიქნა წარმართობის დროს, ხოლო ქრისტიანულმა სარწმუნოებამ თავისებურად შეავსო და გააღრმავა ის.

ქრისტიანულ სარწმუნოებას სულის მოგზაურობა სააქაოდან „საიქიოს" შემდეგ ნაირად აქვს აწერილი: სხეულთან გაყრის შემდეგ სანამ თავის ალაგს მივიდოდეს, სულმა უნდა გაიაროს მრავალი დაბრკოლება. აქ სცენაზე გამოდის სიკვდილი, რომელიც სამსახურს უწევს როგორც სამოთხეს, ისე ჯოჯოხეთს და ორივეს ამარაგებს სულებით.

სხეულთან გაყრისთანავე ადამიანის სულს გარს შემოეხვევა ეშმაკები და ანგელოზები. ეს ორი მოწინააღმდეგე ძალა ერთმანეთს ეჯიბრება და თითეულს სურს თავისი უფლება აღიდგინოს გარდაცვალებულის სულზე.

ეშმაკებს აღნიშნული აქვთ მთელი ის ცოდვები, რაც კი ჩაუდენია გარდაცვალებულს სიცოცხლეში. ანგელოზებს კი-კეთილი საქმეები. აქ არის ერთგვარი სასამართლო, სადაც ბრალმდებლის როლში გამოდიან ეშმაკები, ხოლო დამცველებად—ანგელოზები. ესენი ერთმანეთს ეცილებიან სულზე—არა ჩვენ გვეკუთვნის და არა ჩვენო.

ასეთი ქიშპობა მრავალჯერ მეორდება სულის მოგზაურობის დროს, სანამ მივიდოდეს უკანასკნელ ადგილამდე.

იქ კი მისი მდგომარეობა ირკვევა. იმის მიხედვით თუ როგორი საქმე მეტი გაუკეთებია—კეთილი თუ ბოროტი, სული ხვდება სამოთხეში ან ჯოჯოხეთში.

შეიძლება სულის გადაყვანა ჯოჯოხეთიდან სამოთხეში. არის ქართული ანდაზა: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო". ეს ანდაზა შექმნა ხალხის დაკვირვებამ ცხოვრებაში. ადამიანი ხედავდა, რომ ხშირად შეიძლებოდა ქრთამით სიმართლის ყიდვა; ცხადია ღარიბი ამ გზით ვერ იყიდდა სიმართლეს, ვინაიდან მას ფული არ ჰქონდა.

ამ რიგად ცხოვრებაში ყოველთვის მდიდარი იმარჯვებდა.

ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი „საიქიოსაც". ჯოჯოხეთში ჩავარდნილ სულს, თუ სიცოცხლეში მდიდარი იყო და მდიდარი მემკვიდრეები დარჩებოდა, მას შეეძლო სამოთხეში გადასვლა; მისი ცოდვების გამოსასყიდად მემკვიდრე ხარჯავდა აუარებელ ფულს, მსხვერპლად სწირავდა ღმერთს ძროხებს, აწირვიებდა უმაღლეს ხარისხის სასულიერო პირებს და თავის „წაწყმენდილ" წინაპარს გამოიხსნიდა ჯოჯოხეთისაგან.

ღარიბი კაცი კი ამ ქვეყნადაც გაწამებული იყო, თორემ იქ თუ ჯოჯოხეთში ჩავარდებოდა, მის საქმეს ხომ საშველი არ ქონდა და არა. ღარიბის მემკვიდრეობა ხომ იმდენ ხარჯებს, მსხვერპლსა და საწირავებს ვერ გაიღებდა, რამდენსაც მდიდრები.

ამრიგად თავისი ხელმოკლეობის წყალობით საუკუნოდ უნდა „წაწყმენდილიყო" და ეცურავებია „კუპრის ტბაში". ასეთი იყო ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც ამ ქვეყნად ატყუილებდა ღარიბებს „იმ ქვეყნიურ" ნეტარებით, ურჩევდა მორჩილებას და მოთმინებას. ღატაკი კვდებოდა იმ იმედით, რომ აქ თუ არა, „იქ" ხომ გავიხარებ მაინცო. მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოება მას აქაც ატყუილებდა და „იქაც".

№

ნ. დ. ს. ც ტირაჟი 1400 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ჯ. [illegible]